


ლიტერატურული განცემი

№15 27 ნოემბერი - 10 დეკემბერი 2009

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი



პრეზენტაცია

ნინო
გუგეშვილი

რუსა
ამირეჯიბი

ქრისტინე
ბებია

აკა
მორჩილაძე

პრეზენტაცია

ანდრო
ბუაჩიძე

ქეთი
ნიუარაძე

ინტერვიუ

რევაზ
კვერენჩიხილაძე

ბესო
ხვედელიძე

თარგმანი

მილან
კუნდერა

სოლოლაკი

„და სოლოლაკში გროვდება ბინდი“.
თ.ქ.

ო, სოლოლაკში გროვდება ბინდი,
ქვაფენილებზე ჩამოშვებული,
და ფარნის შუქზე ცხოვრება მიდის
და მტოვებს ასე ბინდით შებურვილს.
მე სტუმარი ვარ თუ ვარ ხიზანი,
არ ვიცი. ბინდი უკვე მოგროვდა,
ეს არის ალბათ უფრო სიზმარი,
სოლოლაკი კი იყო გოლგოთა.
ო, სოლოლაკში გროვდება ბინდი,
სადაც სკვერი და კვიპაროსია,
ცხოვრება ვიწრო ქუჩებით მიდის,
თვალი შევავლე ბინდით მოსილმა.
რა ნალვლიანად გროვდება ბინდი
და ფანჯრებს მიღმა ანთებულ ჭალებს
უთქმელისადმი ძრნოლა და რიდი
მოაქვს და მნარეს მიტოვებს ნალველს.
მე სტუმარი ვარ თუ ვარ ხიზანი,
არ ვიცი. ბინდი უკვე მოგროვდა.
ცხოვრება იყო ალბათ სიზმარი,
სოლოლაკი კი არის გოლგოთა.

* * *

ამქვეყნად უკვე რაც იყო, იყო,
ამქვეყნად უკვე თუ ხართ, ვიღა ხართ,
ბედის ვარსკვლავი ქედზე დახრილი
რა ნამალევად გადაიხროლეს
ავდრის ღრუბლებმა ქალაქის შიგნით,
შემოდის ღამე, რბილი მწუხრით და
ზედ თრიალეთზე გამლილი წიგნით.
რაც იყო, იყო, რა გაეწყობა,
ქუჩა და ღამე და სოლოლაკი,
ვიდექი. ბაკმი ტანზე მეხვია
და ანყვეტილი, როგორც ფოლაქი,
ყველა სარკმელში იკვეთებოდა
მთვარე თაბორის მთაზე დახრილი,
ჩემი ბავშვობის დერეფნებიდან
ახლაც კი მესმის სუსტი ძახილი.
ამქვეყნად უკვე რაც იყო, იყო,
ამქვეყნად უკვე თუ ხართ, ვიღა ხართ,
ჩემს გაციებულ თავსასთუმალთან
როგორ მიმდრიკა ჩემმა იღბალმა.
რაც იყო, იყო, რა გაეწყობა,
გადავიარე ერთი გორაკი,
და უკან დამრჩა მე სიზმარივით
ქუჩა და სკვერი, და სოლოლაკი...

აგარაკის ცარიელი ოთახი

„შენ ყველას დაივიწყებ
და შენც ყველა დაივიწყებს“.
მარკუს ავრელიუსი

როცა იმ სახლში აღარ იქნები,
ხევში ჩანვება უხმოდ სიღამე,
ჩრდილები ხელებს გადაიქნევენ,
დღე ნაგა, როგორც სხივი თიხაზე.
და აივება ღამით თახა
სააგარაკო, სადაც არავინ
აღარ შესულა კარგახანია
და სიჩრუმე დგას, როგორც მპარავი.
კარგახნის მერე, როგორც მიტკალი,
ფრთხილად ჩანვება ხევში თენება,
აღარ იქნება არავითარი
არც მოგონება, არც გახსენება;
თახა, სადაც შენი კუთვნილი
ცხოვრება ნელა ჩამოინურა -
ცარიელია უკვე ყუთივით
და დროსთან ერთად სადაც მიცურავს.
და იმ კედლებზე ძველი ღაები
რაღაცის მთემელი ანდა არმთქმელი...
გაიძურნება სინდიოფალა
და იციმიმებს ჭერზე ნათელი.
და მხოლოდ დიღა ნათლის მცხებელი,
და ის ოთახი - ნათლით ცხებული,
და შენ - ყველაფრის დამვიწყებელი
და ყველასაგან დავიწყებული.

გადეპი

მე მივდიოდი „მშრალი ხიდისკენ“,
გზა გადავჭრი მდუმარე ბალით,
და თითქოს ყველგან იყო ბალები,
მესიზმრნენ ჩემი ამხანაგები,
მაგრამ უეცრად სულ გააკრიფნენ
და იმათ ნაცვლად დამრჩა ნაღველი.

დიდი ქალაქის დიდი ბალები,
როდესაც წვიმის ისმის დგაფუნი,
ცარიელდება ხოლმე სახლივით,
უნაპიროა და უდაბური...

ზღვისაირა ქალაქი
ჩემს შვილებს

როგორ ვუქცევდით გვერდს ქუჩებს და მერე
გამოლელებს,
როგორ ვიარეთ იმ ზღვისპირა უცხო ქალაქი,
და ჩვენდა ბედად ეს ზაფხული ისე გავლიერ,
გამოვალნიერთ ზღვისპირეთსაც და თან გადავრჩით.
რამდენი სახლი და რამდენი თეთრი რიკული,
რამდენი სახე, რამდენი ხმა და ლაპარაკი,
და მერე ბედად ეკლესია კათოლიკური,
და ეს ქალაქი, გამრიყავი, უცხო ქალაქი.
ეს იყო რაღაც ჩახლართული ლაბირინთივით,
და მადლობა ღმერთს, არ აგვებნა მაინც გზავალი,
ევეკალიტები და პარის ლურჯი თამთმი,
ჩამავალი მზე და ტალღაბზე სხივთა კანკალი.
დალამებულზე რომ დავბრუნდით მყუდრო დაბაში -
გაგხედეთ ქალაქს - ერთი გემი ენთო მარტოლა,
და ის დღე იყო დამქანცველი, როგორც თამში,
რომელიც გადლის და არ გაებრდება მაინც რატომძაც...

* * *

რა იცის ნეტავ იმ შორ ვარსკვლავმა,
ადამიანთა რა არის ვნება,
და სოფლის თავზე ჯერ არ დამდგარა,
ცისკალურზე რომ თანდათან დნება.
რა იცის ნეტავ იმ შორ ვარსკვლავმა,
ადამიანთა რა არის ყოფნა,
და ყოველივეს გამომნასკვავმა
ვინ მოაშუქა თვითონ ის სოფლად.
ის არ ეხება ადამიანურს,
მხოლოდ ხანდახან ციმციმებს ოდნავ,
და არ ირჯება, რათა მიაგნოს
ფანჯრებში უხმოდ ანთებულ ცოდვას.
კაცი ბრუნდება შუაღამისას,
შეაღებს ჭიშკარს, ისმის ჭრიალი,
გაბეზრებული ძალლის ღნავილით,
ნამთვრალევია და ეჭვიანი.
იქვე კი ქემოთ გმინავს ქალაქი,
ისიც გაბეზრდა ჩემი ზრიალით,
არც ფუსუსია, არც ღამარაკი
და არც ვინმერა თანაზიარი...

დიდი თონეთი

მთიდან ეშვება ზოაზნვით ნახირი
და თან მოჰყვება ნახირის ნაღველი,
ტბორში აგდია ცხენის ალვირი,
ტბორის მწვანე და ანამდვრევი.
ნახირი ზანტად ჩამოდის სოფლად,
თავდაღმართია. ღობე. ძალლები.
ნაღველისაგან ძნელია ყოფნა,
წყორიზე ჭურჭლით დგანან ბალლები.
სანერელე ხელა ერევა ლაუვარდს,
ასე ნავიდა მთელი ცხოვრება,
ქვებზე ვეება ჩრდილები დარჩა
და მოდის ღამე, როგორც ცხონება.
და რა კარგია, რომ სოფლის ბოლოს
ობლად ციმციმებს ერთი ნათურა,
ძალლი ყეფს, ისიც ერთია მხოლოდ
და სინერემი გამოხლართულა.
და რა კარგია, ტრიალებს სუნი
მჭენარი ფოთლების და სინოტივის,
ისევ ყეფის ხმა. სიჩუმე სრული.
და ყველგან დარდი სველი ლოდივით.
მე ხომ ყოველთვის ასე მტკიოდი,
ასე მიყვარდი, ასე მერჩიე,
და გასახოდა ტყეს ბუკიოტი...
ამ სიყვარულსაც ვერ შევეჩვიე.
ვერ შევეჩვიე იმ შორ ნათურებს,
რომელთა შუქიც ღამით ფხიზლობდა,
შორს კოჯრის თაგზე სხივი ფათურობს
და იმის იქით - მარადისობა.

ფაჯირიდან

შორს თრიალეთის ბნელი ქედია,
ზედ გზა სინათლის ბენვივით გადის,
იქ მანქანები დიან ტაატით
და ამ ნელ სვლაში იგრძნიბა დარდი.
და ამ ნელ სვლაში იგრძნიბა აზრი,
რომ ყველაფერი სადღაც მთავრდება
და ასხლეტილი ფარების შუქი
უფსკრულებს იქით გადავარდება.

ამანაგების დასიზმარება

უკვე წასულებს, სვენანუმედილებს,
არა კეთილად მყოფთ და ანაგებთ,
ვესაუბრები, მათკენ ვედინე,
სუფრაზე ვუზი ჩემს ამხანაგებს.

მათ სახეებზე ბრეე და ობია,
ობიდან მჭვრეტენ მათი თვალები,
მე მათი მზერა შემომჭდომია
განელებული ნედლი მთვარეთი.

რად დავიქეცით, რას ვემსახურეთ,
თითქოს გაისმის ჩუმი ყვედრება,
ზოგი სიბრელეს ღვინოს ასხურებს,
ზოგი ჩაქინდრავს თავს, რომ შეთვრება.

მე რა უნდა ვქნა, რა შემიძლია,
ან რა შემეძლო თვითონ მახვინარს,
თუმც მათი დარდი კი შემიცვნია
და თუმც ცხოვრება მიჩანს ნაფხრენად,

თვითონ ჩემს თავში ასე ველირე,
ასე ვეთრიე, ასე ვენამე,
ამათ კი, ღამეს რომ გაეხირნენ,
ამათ რა უნდა ვუთხრა შემწყრალებს.

ან დარდი როგორ უნდა შევუწყო,
მე სხვაგანა ვარ ანდა სხვარიგად,
ან მერამდენედ უნდა მეუწყოს, -
ისინი უკვე დარდმაც გარიყა.


მე ვიცი, მათი ჩრდილიც მენდობა,
რადგან ვუყვარვარ, რადგან ვეძმობი,
ზიარი ვაკინდა ჩეგი უბედობა,
ახლალა თუ ვარ ამის შემცნობი.

და თუ იყავით სველებდური,
თუ ბედის ნაფლეთს ერთურთს აფენდით,
რის მაქნისია ეგ საყვედური,
მეც ხომ მეფინა ერთი ნაფლეთი.

რა ბედენა დღე და თარიღი,
და თუ სინათლე ჯერაც მენთხევა,
მეც ხომ მანდა ვარ გამოსარიყი,
ხომ უნდა იქნეს ესეც ერთხელაც.

სანთელი ისევ ისე პარპალებს
და სანთლის სხივი თრთის განყდომამდე,
მაშ, თვალს აქეთ ნუ გამოაპარებთ,
ნუ გადმომხედავთ კვლავაც მნყრომარედ.

და თუ ღვინოა, ისევ ღვინოთი,
ამქეყნად მყოფთა შესვით შენდობა, -
ვისთან ერთადაც ვეყნად ღვიოდით
და ზიარ-ჭურჭლად გხვდათ უბედობა.



შალაპი შესაბის ქვეშ იყო მაღვიძისარამ რომ დარეკა. ოთახში ციონდა. პირველი აზრი: ყავა და სიგარეტი. ამან ისევ გამ-აპრაზა. აშკარად დაგვკნინდი. ადგომა მეზარებლიდა და ამიტომ გიჟივით წამოვხ-ტი და აპაზანისკენ გავვარდი, მერე ისევ გიჟივით ჩავიცვი. უკვე რომ არ მეთქება, მცივა და მეზარება-მეთქი, ჩემი შემხედ-ვარე ნამდვილად იფიქრებდით, წასვლა უხარიათ.

ტვირი შეშუბებული მქონდა. ყავით და სიგარეტით ვნებივრობდი მოსაწევ ოთახში, იქვე დაგდებული სქელი ლიტერატურული ჟურნალი შევნიშე და გადავშალე. წავიკითხე ერთი თანამედროვე მწერლის გაუგებრობა პენტიუმ 2-ზე. რა სისულე-ლებია, უნიჭო ყოფილა, გავიფიქრე და ტელეფონმა დარეკა, აღმოჩნდა, რომ ტყუილად ავმდგარეარ, წასასვლელი აღარ ვიყავ.

შემეძლო ძაფივით გაწყვეტილი ძილი გადამება და სიზმრები ამომეხვია. დაეწვე-ბი-მეთეი. უცემ ეჭვმა გამიელვა: ვაითუ არ დამეძინოს? ვაითუ ტყუილად გავიხსადო სიცივეში და მერე ლოგინში ვიტრიალო? დრო თოხი საათი მაქვს, შანსი არ გამოვ-იყნო? უნდა ვცადო, გავითიქრე და ოთახ-ში შევედი. რამდენიმე წამს ვუყურე უკვე ცივ ლოგინს. „რომ არ დამეძინოს?“ მჭამ-და ეჭვი. ცალ ფეხზე გავიხსადე ჯინსის შარ-ვალი და გაფრინდი. სანამ დავწვებოდი გადაწყვიტე, თავი გამომეცადა, დამეძინე-ბოდა თუ არა. თვალები დავუხუჭე და თავი მოვიკატუნე, ვითომ ვიძინებდი. წარმოვ-

რუსა ამირეჭიბი

କବିତା ରମେଶ ପାତ୍ର

როგორ დამამხსოვრდა ეს სისულეელეები ჩემი მეხსიერების პატრონს?! გაეპრაზდი, ძალიან გაეპრაზდი ავტორზე. რა ჩემდა ჭირად დაწერა ეს რაღაც?! ძლიერ თოზი საათი მოვიგდე რომ დავიძინო და რას ჰყავს ეს?! თან რაზე წერს, ან ვისზე? ღმერთო ჩემო! რას ავიღე ის ოხერი უურნალი, ამ ჩემმა ტუტუცმა ტვინმაც ეგრევე რომ შეისრუტა? მღვიძარი რომ ყოფილ-იყო კიდევ ჰო.

ასე ვფორმიაქობდი, მაგრამ რაღაც
ეჭვი მაინც მჩხაპნიდა. ჩემკენ ისეთი შთა-
ბეჭდილება მოდიოდა, თითქოს რაღაც
ვარ ეპილი. ეს აღმორი რამოანჯორნი

კეთი გავიგე. ეს ავტომო თამდებუროებ მყავდა ეკრანზე ნახახი და ცხოვრებაშიც მომიკრავს თვალი. აქამდე კარგი აზრის ვიყავი მასზე, სწორად და ლოგიკურად აზროვნებდა და გემოვნება ეტყობოდა. მოკლედ, კაი ტიპი მეგონა, მაგრამ როგორ დანერა ეს ვითომ არაორდინალური, უიდეო და უაზრო რაღაც? გამომივიდა რა ეგეც პენტიუმ 2-ის პორტური ნიჭის ქრისტეფორე კოლუმბი. ან იქნებ თეთრი ლექსია და ნაკითხვისას იუმორს ჩემში იმ ღრმა ძილით ეძინა, ამ კაცის გადამყიდვ რომ არ მეღირსა? გამახსენდა საერთო ახლობლები, მასხიობი ცოლ-ქმარი. გადაწყვიტე მათთან მივსულიყავი, მისი მოთხრობები გამომერითია და დავრწმუნოთ მას რომ ის გილობრივი არის.

ხებულიყავი, რომ ეს ტიპი უხიჭოა და
თავიდან მომენტულია მისი ბაზრობაზე
ნაყიდი ტრუსები. სიამოვნებისგან გავიძა-
დრე და აქედან გამომდინარე ძილი მესა-
მედ დავიწყე. გონებაში სიჩუმე გაჩერდა,
თბილი მგზავრი — თვლემა გადმოსვა და
გზა განაგრძო. ეს ტყპილი პროცესი ფეხ-
ის თითებიდან ზევით ნელ-ნელა მა-
ცოცდებოდა და როცა გონებამდე მოაღ-
ნია, მე უკვე მეძინა და სიზმრად, ღმერთო
ჩემო, ის ვაჟბატონი გამომეცხადა და ლან-
ძოვა ამ წესა.

„უზრდელო! თვითონ ხარ კომპლექსი-ანი და გაბრაზებული, ხამი და თარგმანში დაკარგული. საკუთარმა გესლმა არ მოგნამლოს!! რა შენი საქმეა, მე რას დავწერ, შენც მყავხარ რა ავტორიტეტი, შენს უაზრო ცხოვრებას მიხედე, მე ვცდილობ მაინც, რომ აზრიანად ვიცხოვრო და რამდენად გამომდის შენი გასარჩევი არაა. დეპრესია შენ რომ გაქვს, მასეთი, გიუჯას რომ ჰქონდეთ, ხელოვნების ნიმუშებს შემწინეონ შენ; თუ კი მიხამო ეზროვნო“

ოფიციალურად თავმოყენებაში გამაღვიძისა. კომიტეტი მარი იყო, ეს რა გადავიტანე! ასე არავის ვულანძლივარ. ჩეუბი ვერ მოვასწარი და პატივმოყვარება ცხადშიც კი მწინებიდა. ქალს ასეთი რამეები როგორ უნდა ეძახოს კაცმა, რომელსაც პრეტენზია აქვს, რომ მწერალია და სხვებზე მეტი ისმის?

— სახლიდან ხასიათარეული გავედი, სამ-
სახურში მივდიოდი. გაჩერებაზე ავტობუ-
სის უკანა კარიღან ხნიერი ქალი ამაოდ
ცდილობდა ჩამოსვლას, ბოლოს იოლი გზა
მონახა, ტყუპი ფეხით დაიწყო საფეხურე-
ბზე ჩამოხტომა და ყოველ სკუპს „ჰოპ-
ლას“ აყოლებდა ხმამალლა. ჩამოხტებო-
და — ჰოპლაო, კიდევ ჩამოხტებოდა —
ჰოპლაო. სულ სამი ჰოპლა გააკეთა. მე-
ცინებოდა და თან ჩემდა უნებურად ვითვ-
ლიდო. კარგ ხასიათზე დავდექი, ისეთი საყ-
ვარელი ქალბატონი იყო, ჩახუტება მომინ-
და, მაგრამ ვერ გაბეჭდე და ავტობუსში
ავედი. მასზე ფიქრი ფასკუნჯივით მომა-
ფრინდა. მიკვირდა, რატომ უნდა ჩაეწინ-
ლა ადამიანს საკუთარი გრძნობა მხოლოდ
იმიტომ, რომ თავისუფლების დაკარგვის
ეშინია. და საერთოდ, რა არის ეს „მამაკა-
ცური თავისუფლება“? თავს როცა რაღა-
ცაში იზღუდავ, თავისუფალი როგორდა
ხარ? უზნეობაში, კომპლექსებში და ღრე-
ობაში ერევათ.

დღეს კაცებს რატომღლაც უჭირთ
"გარისკვა" და საკუთარი გულის ნებაზე
მიშვება, შეყვარება იქამე, სადამდეც მის-
ვლა შეიძლება, სადამდეც დრო ეყოფათ
და რამდენჯერაც მოასწრებენ. თუ ქალი
უფრო იოლად რისკავს, მათზე გაბედული
ხომ გამოდის? და ნუთუ ეს კაცების თავ-
მოყვარეობაზე არ მოქმედებს?

დავუშვათ იცხოვრებენ 80 წელს. ამას
გამოვაკლოთ ბავშვობა, სიბერე და ძილი,
გვრჩება სულ რაღაც 15 წელი ჯანსაღი
სითხიზე. გამოდის, რომ მათი 80 წლიანი
ცხოვრების ყველაზე ფხიზელი და პროდუ-
ქტიული პერიოდი უდამაზოდ, უსიყვარუ-
ლოდ, არარომანტიკულად, მხოლოდ ინ-
სტიქტურის კარნასით უცხოვრიათ. მამაკა-
ცებო, ქალებისთვის საბრალონი და ზარმა-
ცები რომ არ იყოთ, ნუ დაემგვანებით სირ-
აქლემას, რომელიც შიმშაგან თავს ქვიშა-
ში ჰყოფს და ჰგონია, რომ არავინ ხედავს.

അഥ പുജ്യലാളയേര്സ് മേ വൃഖദൈബി ദാ ദാവിജ്ഞ-
രന്ന കാച്ചേബി വേറു ഭവദൈബാന? മാംസ് ഒമ്പ
ഡാസ്ക്വെൻഡമെ മിവൈറ്റി, രമുംഗ് "താവിസുജൗലൈബ്-
ിസ് ഡാകാർഗ്ഗവിസ് ശിഷി" പുരുത മനത്രേഖലി
മിഠേശി ഇപ്പ ദാ ഇമബ് അരാവിതാരി ഗ്രഥന്മാഡാ
ഹീമിഡാമി അര ക്ഷേരന്ദാ. അ തോക്രൈബിത മിവൈറ്റി
സാമാസാക്ഷൂരശി, മേരു ദാലിനാം ഡാലലിലി
ഡാവൈർക്കുന്ദി സാഖലശി, തീലൈവൈഥന്മരി
ഹിബ്രുത്തേ, താന്ന ദില്ലിസിത്വിസ് വേമ്പഥാദൈബംഗി. ദാ
ക്ഷണി, സാമുച്രേഖാം! ഏരാംഭി സീ വാജ്പാത്രമിന്ന
അവ്തിന്റെ ഗാമന്ത്രിമിഷ്ടിലിപ്പ ദാ എരു-തെരുത
ബന്നലിതിപ്പുന്നിസ് അക്രിതിക്കൈബ്ദാ. ഹീമശി ദേവാല-
മാ ദാന്നമാഡ ഇയേതും. തീലൈവൈഥന്മരി ഗാമ-
ന്മുരുത്തേ, അവ്വേജി ദാ ഒമ ഇമേറിഡി ഫാവിഡിനേ,
രമുംഗ ഡാമേസിഥമ്രൈബംഗി. ദാ രാച ഡാവാക്കൈലി
അവ്വുംാഥിലാജുരൈബ്ദി. അശേച മംബൈഡാ, സാ-
മാരത്തലിനാംബാദി ഇഠീമാ, മാരതാലിനാ ദില-
ശി, മാഗ്രാമ ഇശേച ഭേമ സാക്മേരാ? അമേസിഥമരാ!
ക്ഷേരാ, മേര അര ഡാവായുന്നേ ദാ വേച്ചി, മാഗ്രാമി
മാംബിന്ദി ഒമ ത്രിക്കൈസ്ഥിതി ഗാമരുലാംബംലൈ, രമുംഗിലി
മഥാ താശുഖൈബിച്ച നീംനാ സിഥമാരശി ത്രിപ്പവിസാബ-
ിത അമാധാരാ. താവൈ മംബൈഡി സീ ത്രീക്സ്ഥി
മക്കുന്ദാ ശേമരണ്ണിബ്രിഡിലി ദാ രാ മേഗ്നും?
സാമുച്രേഖിസ്ഥിപ്പികാസതാനാച്ച അഭലി വിപ്പാവി, മാഗ്രാമി
ബോമിത്തും മെഡിക്കും; കു?.

„რა გინდა, რას გადამეკიდე, ან დილა
რატომ ჩამიწარე, ან კიდევ ეს დამე? ეკრანზე უემოციოდ, ზღაპარივით რას
გვიყვები ჭკვიანურ აზრებს, შე ფლეგმა?!
ვინ გეკითხება დავიძინებ თუ არა, ვი-
ფიქრებ თუ არა შენს ჯოჯო ლექსზე? ერთი
რითმა მაინც გაგერტყა შემთხვევით, ამ-
დენი ტვინის ჭყლეტა აღარ დამჭირდებო-
და გამერკვია, ლექსია თუ მოთხოვა,
როგორ შეიძლება კომპიუტერზე ლექსი
დაწერო? შენი ოცნების ოთაში ქალთან
ვირტუალური სექსიც ხომ არ გირჩევნია,
თვითონ კომპლექსიან! რა გინდოდა,
გონება რომ ამიყროლე ამ დილადრია?



და გეპრესია გექნება, სევდიან ძუძუებზე და სევდიან თვალებზე გეტყობა, გამომიხვე-
დი რა მწუხარე სახის რაინდი. მოგონილ
საძინებელში გირჩევნია მოგონილ ქალთან
და გულს არ იწყვეტ „undo ცხოვრების“
გამო, რომელსაც shut down-ი გაუკეთე?!!
„ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე?“ „მე და ლა-
მეც“ მიგეწერა ჯობდა, ვიფიქრებდი ის-
ესხა-მეთქი. და უზრდელი მე ვარ, შენ —
არა, ხომ? რატომ? მწერალი რომ ხარ, იმ-
იტომ? თუ არავინ დაიჯერებს, რომ მწერ-
ალი შეიძლება უზრდელი იყოს? გეუბნე-
ბი, შემეშვი-მეთქი!“

თავმოყვარეობა კუჭს ჰგავს. ჯანსაღ
საკეცებს ზომიერად თუ აწვდი, ადვილად
ამუშავებს და ჯანმრთელად ცხოვრობ. ზედმეტს თუ აძლევ, თავმოყვარეობას პა-
ტივმოყვარეობა ენაცვლება და ყვე-
ლაფერი ქონებში მიდის, გაბლინძები, გამ-
აძლარი იერით ივლი, სხეული დაგიუშ-
ნოვდება... და რაც მთავარია, მაინც მუდ-
მივი შიმშილის, დაუკმაყოფილებლობის
გრძნობა ინსტინქტად ჩამოგიყალიბდება.
რამემ თუ აწყინა, სპაზმები ემართება, ავ-
ტომატიკა ერთვება და სხევადასხვა გზით
ცდილობს გამოდევნოს ის, რამაც მონამ-
ლა, პატივმოყვარეობა კი ნაგავს გარეთ
მუნჯუკის, ნაოჭის ან ლაქის სახით გამო-
ყრის. მე პირადად სახეზე ნაოჭს და ლაქ-
ებს, დარდს და ცრემლებს, ჩეუბი მირ-
ჩევნია.

ତେଣୁଡା, ଗୁଣ୍ୟିକିତ ତାଙ୍ଗମ୍ପୁର୍ବାର୍ଗେନ୍ଦାମ ନ୍ତାମି-
ମାବେଶ୍ଵରୁଙ୍କ ତୁ ତାଙ୍ଗିକିପଥର୍ମୁଖବାର୍ଗେନ୍ଦାମ ତକ୍ଷେଣ
ଗାରାର୍କୁଣ୍ଠେ, ତକ୍ଷେଣନ୍ତାମି ମରମିନ୍ଦିଛା. ତୁଲାର୍ଦୀତି
ଏକ ନ୍ତାମିଲେବାମି, ହିଂସାତ୍ମକ ଓ ହିଂସାକୁ ସାର୍କରିତି
ଅବ୍ଲୋଦଲ୍ଲେଖି ହିଂସାକିଳାନ ଫାତୁର୍ରାଜୀକେ, ତକ୍ଷେଣନାନ
ମରିଯିବାର୍ଥ-ମିତ୍ରଜୀ.

ცახიონ და ძალევე ხავიდა.
ყავა მოვითხოვე და სიზმრის მოყოლა
დავიწყე. ცოლ-ქმარი ჯერ დიდი თვალ-
ებით ისმენდა ჩემს თავგადასაგალს, მერე
გაეცინათ, შენ ხომ შარის მშობელი ხარო
და ქმარმა მისი წიგნი დამიღო მაგიდაზე,
გაგატან. ვერ მოვითმინე და ყავის სმას

კითხვა შევუერთე. უნიჭობაში უნდა გამომეტირა, აღტკინებული ვიყავი, მოსალოდნელი სიამოვნებისგან ტუჩებს ვილოვავდი. დავიწყე. ასოებს მივყევი. პირველივე აბზაცის წაკითხვისთანავე დავინახე, როგორ გაადინა ნაცარში ტყაპანი ნიშნისგების კოვზმა. გონქბაში გასხლტა ფრაზა, რომელიც საერთოდაც არ მანყობდა, იმედგაცრუბულმა ამოვიოხერე და ვთქვი: „კარგად ნერს“. კითხვა გავაგრძელე. „მიგნებებს ნელავს, არადა მშვენივრად დაიწყო“. ახლა ამიტომ გავპრაზდი. თან მწყინარაოვა...

და საერთოდ რა მინდოდა?!



ქრისტინე ბებია

ქარი, ნიმა და მზე

ქარი ამოვარდია, — იტყვის სხვა. არა-და, ღმერთს სტკივა და ნატკენს უბერავს სულს. ღმერთს რამ ატკინაო? — იკითხავს სხვა. იმან, ეგრ კაცმა ხატი მინაზე რომ დაანარცხა და ზედ ფეხებით შესდგა. იმანაც, ჯვარი რომ მოიგდიჯა ერთმა გულმეტერდიდან და უმისამართოდ შორს მოისროლა. ეკლესია რომ დაანგრიეს, იმან. იმად ასტკივდა, ნიმინდა სანთელი რომ დაჭ-მუჭნეს და მიზილ-მოზილეს თავშესაქცე-ვად, მერე კი, კანალიზაციაში ჩაუძახეს. პირჯვარი უკულმიდან გამოისახა შლაპა-ანმა მამაკაცმა. იმან აატკივა, ტაძრის შესასვლელ კარებთან რომ სიგარეტი გააპილეს, შეიგინეს, ლაზათიანადაც გად-მოაფუროთხეს. შეი დედაცო, ხატებს რომ შეუკურთხა, იმან. ღმერთს ვფიცავო, — მწარე ტყუილზე დაიფიცა ვიღაცამ. მიტ-ომ ეტკინა, ხატზე გამოსახულ ნიმინდანს რომ გაეკაიფა ვიგინდარა, რას მომჩერე-ბიხარ, შე ჩემისაო. ბოზი ლვთის შმობელს: ერთი მე და მეორე შენო ქალული! კიდევ,

ქალმა რომ პირობა დადო ლვთის წინაშე, თუ თხოვნას ამისრულებ, ხატებს შეენირა-ვო ეკლესიას. აუსრულდა, მაგრამ ეკლე-სიაში არ უნახავს მას აქეთ არავის. სტკი-ვა, რადგან ლოცვების წიგნიდან ამოფ-სრენილი ფურცლით მოიხოცა ლიპიანმა გაქონილი ხელ-პირი. კიდევ იმიტომ... არა, მეტს არ გაცაგრძელებ. განა, ეს საკარისია არაა ტკივილისთვის?!

უფრო ასტკივდა და ქარი გაძლიერდა. უფრო და — უფრო — გრიგალი ამოვარ-და. სულ რომ წაგილოთ ქარიშხალმა, ნუ დაინუნუნებთ. თავითა შენითა!

შეწყდა ქარი. ითმენს ჩევნოვის.

წვიმა დაიწყო, — იტყვის სხვა. არა-და, ღმერთი ტირის. ღმერთს რა ატირებ-სო? — იკითხავს სხვა. ის ატირებს, დაცი რომ მრუშობას შესდგომია ლუკმა-პურისთვის. იმან აატკირა, კაცმა კაცს ცე-მაში რომ ამოხადა სული. ნაკუომანი რომ იჩხერს, იმად ტირის. ერთი რომ მეორეს ჩაგრავს, აბურად რომ იგდებს და დასცი-

ნის, იმიტომაც. ქმარი რომ ცოლს დალა-ტობს, ცოლი კიდევ — ქმარს, მეგობარი — მეგობარს, ძმას — ძმას... ლალატისთვის იღვრება ცრემლებად. ტირის იმიტომ, იმ-დენს რომ იტყუებიან, თავადაც ავიწყდე-ბათ სიმართლე. ცილისრამებისთვისაც.

ქურდები ატირებენ. უწმანურ სიტყვებს რომ უფრო ხშირად ხმარობენ წინადადე-ბებში, ვიდრე კავშირებს. უნდა სვადა ჭამო, ცუდად რომ არ გახდე. ესენ კა, სმა-ჭა-მისაგნ ხდებიან ცუდად. ისინა ჭორაობა-ყედობაში პოულობენ სულიერ ნეტარე-ბას. როგორ არ იტირებს, როცა თავად წყვეტენ, ვინ როდის წავიდეს ამქვეყნი-დან?!

აბორტი ორჯერ, სამჯერ... ეკვს-ჯერ... ფული უფრო უყვარს ამ კაცს, ვი-დრე მმბდები, ძმა, ცოლი, შვილები, ნათე-სავები... ღმერთი. იმიტომ ტირის, ეგერ შურით რომ შეშუბებია ვიღაცას გული, მე-ორე სიძულვილით გაბდებილა, მესამე ბოდმით გასკედომადე გაბერილა... მეათე... კმარა! განა ეს ცოტა მიზეზია ტირილ-ისთვის?!

ცოდვა სიგარეტს ჰეგავს. იციან, მავნე რომაა, მაგრამ მაინც ისნრაფვიან მისკენ. მიჩვევაც იცის... და დასცხონ წვიმამ. ცოდ-ვას ცოდვაზე ეწვიან და კოესპირულად წვიმს. ვერ ანებებს ხალხი ცოდვას თავს და



გრუხუნებს ცა. ეს ღმერთი სლუკუნებს. რომც წაგლეკოთ წყალდიდობამ, ნუ დაი-ჩივლებთ. თავითა შენითაო!

შეწყდა წვიმა. ჩევნოვის ყლაპავს.

მზეგ გამონათაო, — იტყვის სხვა. არა-და, ღმერთი იცინის. ჩევნ დაგვიწინისო? — იკითხავს ბრივი. როგორ გეკადრებათ! აბა, რა აცინებსო?

მართლაც, რა აცინებს?!

რომ იყიდიან, მერე დამეხმარებიან კიდეც და მეშველება მეც.

— კი, მაგრამ...

— არავითარი „მაგრამ“, გემუდარებით. უმორჩილესადგთხოვთ, უარს ნუ მეტყ-ვით... პროცენტებს თქვენც აიღებთ, რა-საკირველია.

დაფიქრდა.

შევთანხმდით. ფასი დაადო ჩემს სიყვა-რულს — იაფი. არც იმდენი ვლირდი, ალ-ბათ, მაგრამ მასაც ხომ უნდა დარჩეოდა, არა, რაღაც?

ასე გამოვჩინდი სიყვარულის მაღაზის ვიტრინაში, მაგრამ ზედაც არავინ მიყუ-რებდა. ტყუილ-უბრალოდ ვუშუულებდი სევდიან, ძალით გამხირებულ თვალებს მყიდველებს. ერთი-ორმა კა შეაჩერა ჩემზე დაფიქრებული მზერა, თთქოს გერ გადა-ეწყვიტთ, ღირდა თუ არა ჩემი სიყვარულის ყდვა. არა, ეს არაფერში გამოვგადგე-ბაო, — დაასკვინდნენ ბოლოს. ფულის გაფლანგვააო ამ სიყვარულის ყიდვა, — ერთის სიტყვებმა ჩამიკლა გული. ერთსაც ბავშვი ეხვენებოდა, დედი, დედი, ეს მიყ-იდე, რაო. სადა მაქესო უაზროდ გადა-საყრელი ფული. რაც გამოგადგება, იმას გიყიდიო. დედი, გთხოვ, რა, არ დამწყვი-ტო გული. შე ფულის ყადრი არ იცი და პირველ რიგში, ფულის სიყვარულს გიყიდიო. — უკაცრავად, გოგონა, ფულის სიყვარული რა ლირს?

გავიდა ხანი და ჩამოაფასეს ჩემი სიყ-ვარული. რომც გავსაღებულიყავ, მაინც გრიმები შემხვდებოდა. მაგ ფულით ძან ცოტა სიყვარული თუ მომივიდოდა, მა-გრამ სულ არარაობას ცოტა არა სჯობს?! სეილმაც არ მოიზიდა ჩემები ხალხი.

ამას წინათ ჩემს ფეხებთან ხურდა დაუ-ვარდა ვიღაც და ვერ შენიშნა. არც მე მოვეცეულვარ ისე, წესიერი ადამიანი რომ მოიცეოდა ასეთ ვითარებაში. ფრთხი-ლა, სხვას რომ არ შეემნიდა და ასე ბედს მიბარებული ვარდელებდი ცხოვრე-ბას. ალბათ, მან თუ მიმიყვანა ერთი წლის შემდეგ სიყვარულის მაღაზიაში.

— შეიძლება, უფროს დაველაპარაკო?

— რა გნებავო?

— კონფიდენციალური საქმეა. პირად-ად მასთან მსურს საუბარი.

— კი ბატონო!.. ახლავე დაბრუნდები.

— გავიდა და დაბრუნდები.

— კაბინეტში შემიძლევა.

— შემობრძანდით... დაბრძანდით... აბა,

რა საქმეზე მოსულხარ?

— მკითხა ფუ-

როსმა.

— ძალიან მინდა, რაღაც სიყვარული

შეენიჭებას. ან მიყიდიან, ან არა, მა-გრამ მაინც იმედით უდგას კაცს პირში სული.

ერთ დღესაც გამოვიდები, საუბარი ვიდები.

— მაგ ფულით არ ვიდები, მაგ ფულით არ ვიდები.

— მაგ ფულით არ ვიდები, მაგ ფულით არ ვიდები.

— მაგ ფულით არ ვიდები, მაგ ფულით არ ვიდები.

— მაგ ფულით არ ვიდები, მაგ ფულით არ ვიდები.



სიყვარულის გაღაზია

სიყვარულის მაღაზია გაიხსნა. ყვე-ლანაირი სიყვარული იყიდებოდა: მეგო-ბრის, მამის, ძმის, მასნალებელებს, ლამის, ბიჭის, გოგოს, ცოლის, საყვარლის, სამ-შობლოს, სეირნობის, ნერვებზე თამაშის, ფულუნების, ჩიგნების, ჯაზის, ზღვის, ცეკვის, წვიმის, ლეღვის, სოფლის, ძილის, ჭორაობის, ჭამის, ქარვის, ექსტრემის, მაღალუნსლინანბის... სულოდა გულო, რა სიყვარული გინდა, არ გეპოვა ამ მაღაზიაში!

მიაწყდა ხალხი. ზოგი მეზობლის სიყ-ვარულს ყიდულობდა, ზოგი — ვარჯიშის, ზოგიერთიც — ზამთრის. ზოგი ისედაც პქონდა ესათუ ის სიყვარულიდა ახლა სხვა სიყვარულს ყიდულობდა. იმატებდნენ. რაც მეტი სიყვარული გაქვს, მით უკეთესი. მე კი არანაირი სიყვარული არ გამაჩნდა. სწორედ ჩემთვის იყო ის მაღაზია, თუ იყო გახსნილი, მაგრამ ძალიან დარიბი ვიყავო, კაპირაც არ მქონდა. ეგ, ფულის სიყვარული რომ არ მქონდა, იმიტომ.

ვიფიქრე, წავალ, ეგებ არც ისე ძირია სიყვარულები. ფული ვისესხებ, ცოტას კი მასესხებენ-მეტები. გზას გავუდენი. იმდენი ხალხი ირეოდა ქუჩაში! ამას დედინაცვ-ლის სიყვარული მიპქონდა, იმ ქალს — მეცადინებობის, შეილისთვის უნდა ეჩუებინა, სავარაულოდ, ამას კიდევ სახლის დალაგების. ახალწერეაყრილ ყმანვლის ღვედინა და ლუდის სიყვარული უყიდია.

მოკლედ, ძლივს გავიგენი გზა მაღა-ზიამდე.

დიდი რიგი იყო. ორი დღე-ლამე მომი-ნია რიგში დგომაში მხოლოდ იმისთვის, რა ფასები იყო, გა

* * *

შენ კი არსებობ, მაგრამ შორსა ხარ
და ნაწილდები ჩემში სიზმრებად,
სიახლის მძაფრი სურვილი, ზამთრის
ლამებებით დგას და იზრდება.
ვიცი, რომ ამით ვერაფერს შევცვლი,
მაინც არ მინდა გამოფხიზლება,
როგორც მზეს და ცას არა აქვთ სხვა გზა,
მსურს, ჩვენც ერთმანეთს ვყავდეთ ხიზნებად.

* * *

ერთმანეთს შევხვდით
გაცრუცილები,
დაცლილები,
გადაღლილები...
მორჩილად ვდევდით, რასაც ვარქმევთ
ბედსა და იღბალს,
აღარც სურვილი ციმციმებდა
ვარსკვლავებს მიღმა.
არა იმიტომ,
რომ არ იყო დრო უკვე ამის,
არა იმიტომ,
რომ ცხრებოდა მზე ოკეანის,
არა იმიტომ,
რომ არ გვსურდა, გვეპოვა მსგავსი,
არა იმიტომ,
ვერ ვამჩნევდით შორ მთვარეს ავსილს,
არც ვიცი, რატომ,
მაგრამ ალბათ ქარიშხლებისგან
ვიყავით უკვე
დაღლილები
და დამფრთხალები...

ჩვენ ამ დროს შევხვდით,
თორემ ისე ვან გაუძლებდა
ასეთ შეხვედრას
ასე მშვიდად,
შეხებას ასეთს...

* * *

დრო შემპარავად ამძიმებს მტევნებს,
მზე კი დაბინდულ მარცვლებს დაჰყურებს,
მინა ივება სამკაულებით,
რომ ვეღარ უძლებს ვაზი საყურეს,
ცას ელენება სიმწიფის ფერი
და ზღვა იღვრება თითქოს ქარვებად -
მზე ამას რომ არ ხედავდეს, ალბათ,
ზამთრის დარდს ვეღარ გაიქარვებდა.

ცვია

მცირდება წვეთი,
თითქოს,
წამინამ -
დედამინაზე წვიმა წამოწვა,
წყალმა შევსო
ყველა ნაპრალი,
წანაძდებილევი
თუ წაზლაპრალი,
ალარ იშლება
გუბე წრეებად, -
წვიმის შეწყვიტა
დანაწევრება...
მცირდება წვეთი,
თითქოს,
წამინამ -
დედამინაზე წვიმა წამოწვა.

* * *

ვერ გაგიმხილე მე ვერასდროს,
როგორ მინდოდა
შენთან შეხვედრა და ეს ფიქრი
მდევდა აკვიდან
გზაც კი არ ვიცი, თორემ დღესვე
ჩემი სარქმლიდან
შენს სამყაროში უსასრულოდ
გადმოვიდოდი.

და ვრჩები ასე, უსახურად,
ცასა და მიწას,
მზესა და მთვარეს,
ამ სივრცეებს მორის ვარსკბობ,
არ მსურს, სინათლე იყოს შორი
და უზაპირო,
მქონდეს სამყარო და არავის
გავუნაწილო.



ქეთი ნიუარაძე

გარგალითის საყურე

შემოდგომის მზე ინურება თანდათან, მძიმედ,
ეს დღეც დასრულდა, მარგალიტის საყურეს ვიხსნი,
ვიხსნი თასმებს და
კაბის ღილებს,
საყვარელ მძივებს,
თითქოს შენელდა მაჯისცემა და დაცხრა სისხლი.
გრძელი დღები, უსასრულოდ გამძლეული წლებად,
გაურკვეველი მოლოდინი, რაღაც მიზნები -
ერთი შეხებით გაოცების ბურუში წვება —
დღეიდან ალბათ არც წარსულში დამესიზმრები,
დღეიდან შენი სახის ყველა წაკვთი დავკარგე,
ყველა კონტურმა შეიძინა ახალი სივრცე,
დღეს გამიხულდა გაზაფხულის ჭრელი საკაბე
მაჯაც გვიანი შემოდგომის რიტმებად მიცემს.

ეს დღე დასრულდა, მარგალიტის საყურეს ვიხსნი,
თითქოს დამშვიდდა ყველაფერი და დაცხრა სისხლი.

კაზა

ყოველი შეხვედრა -
ახალი გოლგოთა,
ყოველი საღამო შეხვედრამდე —
ჩემი შეხება ახდენილ სიზმართან,
ვიდრე
მხრებს მკლავებში მოვაქცევდე,
ვიდრე
სინამდვილეს შევხედავდე...

გზაა მოლიპული
და უსწორმასწორო,
გზის მიღმა რაღაცის სურნელია —
შენ ეს არსებობა
გექცა თანამგზავრად,
მე კი, რომ დავდივარ, სულ ველი და
სულ მინდა,
დღეიდან დამიდგეს ის ერთი
ნაძვილი წამი თუ გაელვება —
ახლა შენს ყოფაში დიდია პაუზა,
ის ალბათ ჩემშიდაც გამეფდება...

ფეხს ალარ მოვიცვლი,
სურთქვასაც შევიკრავ —
ვგრძნობ, რომ ხანგრძლივდება პაუზა და
დროს უწინდებურად
ვედრ დავეხსნები —
პაუზა
მუზასაც
დაუზავდა.

* * *

უფსკრულებია აქ ისეთი, შეგეშინდება —
ციხე-კოშკიდან მონაზვნების გადმოვარდნები.
რატი ამაღლობელი

დღეს გადავწვეიტე, მოგისმინო და დაგიჯერო,
მტკრიან თაროზე დავიწყების საათებს ვაწყობ,
ვცდილობ, ხელახლა ავიხილო ორივე თვალი
და დავინახო შენებურად ჩემივე აწმებ.

შესანიშნავი სამყაროა ჩემს წინ, დილიდან
იშვება ქარი მის წიაღში და მიაქვს დარდი,
გადარჩენილი სინამდვილე ქმნის იდილიას
და ეს სიმშვიდე საღამოსკენ ზეცამდე ადის,

თბილი დღეები სრულდებიან ლურჯი სისავსით,
სწორედ ისეთი სიმუბუქით, როგორც დღეს მითხრეს,
მოაქვთ დამეებს თანაბარი სუნთქვის რიტმები,
არ მიტოვებენ უპასუხოდ დასმულ შეკითხვებს,

ასე გაივლის დარჩენილი დღეები, წლები —
ზუსტად იმდენი, რაც აქამდე იყო და მაშინ
დადგება უამი, ალბათ ისე დადგება უამი,
აღარც მეტება სინანული ბედიან თამაშის.

მაგრამ ერთხელაც,
თუ შემეხე,
თუ დამესიზმრე,
თუ გამახენდადა გაღვიძებულს შენი სახელი,
მაინც იმავე უფსკრულების პირას დავდგები
და დავეშებები უეცარი თვალის ახელით.

ფალდები

ტალღები —
ქვიშებად დაყრილი უდაბნო,
ტალღები —
ქარები სტეპების,
გუშინ —
გათოშილი ცის გადმოსახედი,
დღეს —
კვალი მზის ცხელი ტერფების,
გვირაბი,
გამსვლელი სხვა სამყაროებში,
ან სულაც —
მინები ფერადი —
არც ვენეციური,
არც მოზაიკური,
უბრალოდ, სუსტი და მსხვრევადი,
ხან შემპარავი და
ხან დამანგრეველი,
ზოგჯერ მარგალიტის მძერნავი,
აღლვებული და
დამცხრალი ტალღები —
დილისკენ აშლილი ზეწარი,
ტალღები თბილი და
ტალღები ვერაგი —
ცყლის ერთანბის დამშლელი,
ტალღები, რომლისგან
არ იყო,
არ არის
და არც ხვალ იქნება საშველი.


* * *

მე — ტყვეობაში
საკუთარი ვნებების ნების,
მე — ტყვეობაში
საკუთარი წარმოსახვების
ისე ვექცევი, ისე ვრჩები და ვბინავდები,
რომ მეშინია სამუდამო გამოსახლების.

და მრავლდებიან ეს შიშები, ვით უნებურად
მეტყველებაში დაშვებული უზუსტობები,
მაგრამ ღერთები კვლავ ხანდახან, უნინდებურად,
მაინც მოსავენ მიტოვებულთ მუზის ტოგებით,

სულ ერთი წამით ამიხსნიან ხელებზე ბორკილს
და აივსება ისევ ლექსით სიტყვის აბგები,
ჩემი სურვილით მივატოვებ ძნებს, ახალმომკილს,
უკაცრიელი სინამდვილის გზას დავადგები,

რომ იქნებ ასე, უსასრულო ბილიკებს მიღმა
დადგეს ის წამი, მე რომ ამას მართლა ვტედავდე —
ხომ შეიძლება, გამოვეხსნა ჩემივე ნებას
და ეს სიტყვები მოვიტანო ერთხელ შენამდე.



დასაწყისი № 9-14

ხოდა, ეგ კაცი იყო კაპიტან ლერნერივან იოსისიფოვაში, იყო ეგრე ოცდათი წლის ბიჭი და მაგარი აზზე მოსული. იმ ამბავში რო სამხედროა, ვერც იტყოდი, იმ პონტში ფორმა თუ არ ეცვა. ფორმა კიდე ხან ეცვა, ხან არა. გრაუდანებში და-დიოდა და მეც ეხლა აღარ ვიტყვი რო ასობათ ვიყავი იქ, იმიტორო ქართვლებმა ეგრე იცოდენ მაშინ ჯარიდან რო ჩამოვიდოდენ, რო ყველა ასობათ იყო და ყვე-ლას კამანდირ ვალკას ქალიშვილი აძელვ-და და ვაბშე.

ყველა არა მარა ბევრი, ყველა ისეთი პონტია, სიტყვაზე ვთქვი თორო იმენა ყველა არ მიგულისხმია, ეგრე ვიგულისხმე რო ყველა ვიც ეგეთ პონტშია რო თავის-თავი ისე უნდა დაგანახოს რო ჯარში ასო-ბათ იყო.

ტრაბახის პონტში კი არა, პროსტო ვამბიბი რო ქალაქში მე ხებებით არ გა-სულვარ, სულ გრაუდანებში დავდიოდი და რო გითხრა, ქალაქშიც ისე ხშირათ არ დავდიოდი, რო მაგისი მარიაშობა დავი-წყო ამ ხნის კაცმა.

იასნია რო ვანია ლერნერი და მე რო დავძმაკაცით და რაც რუსულები მახს-ოვს სულ იქ ნასანავლი და მაგრა მენდო-ბოდა, იმიტო რო ეგ, სადაც მე წამიყავნა მაგან, არ იყო უბრალო ადგილი და მე ვიყავი სტოროვის პონტში. ვაფშე მანდ მთავარი რა იყო რო ეგეთი დიდი ეზო იყო და იქ ელაგა სტორიმატერიალები, ვაფშე ყველანაირი, თავისი კრასებით დაწყებული, ვაფშე არმატურით და ხის მასალით და ყველაფრით და მე ვიყავი მანდ კრუ-გლასუტორნა. ეგეთი ვაგონი იდგა, შიგ იყო ვანიას კაბინეტი თავის სეიფით და ჩემი თახა და კიდე ერთი თოახი სადაც ვანიას ნაშები მოყვადა ხოლმე, იმიტო რო ცოლიანი იყო, მარა ნაშები ევასებოდა. მე მეუნებოდა, რანაირი გრუზინი ხარ, ნაშებს არ დასდევო. მე უთხარა, მე ისეთი ფუტ-ბოლისტი ვიყავი, ყველა აქეთ დამდევდა და მიჩვეული არ ვართქ.

